

იმუნოკინდი / IMMUNOKIND

- საერთაშორისო დასახელება (აქტიური ნივთიერება): comb. drug
 - კლინიკურ-ფარმაკოლოგიური ჯგუფი: ჰომეოპათიური საშუალებები
 - მწარმოებელი კომპანია: DHU
 - მწარმოებელი ქვეყანა: გერმანია
 - გამოშვების ფორმა: ტაბლეტი #150
 - გაცემის რეჟიმი: III ჯგუფი (ურეცეპტოდ)
-

შემადგენლობა

1 ტაბლეტი (100 მგ) შეიცავს:

აქტიური ნივთიერებები:

Calcium carbonicum Hahnemanni D6 - 20 მგ

Calcium fluoratum D6 - 20 მგ

Calcium phosphoricum D6 - 20 მგ

Sulfur jodatum D12 - 20 მგ

სხვა ინგრედიენტები (შემავსებლები): მიკროკრისტალური ცელულოზა, ტალკი, მაგნიუმის სტეარატი.

ჩვენებები

სასუნთქი გზების ხშირი და რეციდივული მწვავე ინფექციურ-ანთებითი დაავადებების პროფილაქტიკისთვის და ასევე ორგანიზმის იმუნიტეტის ამაღლებისთვის ძუძუთა და მცირე ასაკის ბავშვებში.

მიღების წესები და დოზები

6 წლამდე ასაკის ბავშვები: 1 ტაბლეტი 3–ჯერ დღეში.

მიიღება ჭამამდე 30 წუთით ადრე ან საკვების მიღებიდან 30 წუთის შემდეგ (ტაბლეტი უნდა გაიწოვოს პირის ღრუში).

ძუძუთა ბავშვების და 3 წლამდე ასაკის ბავშვების მკურნალობისას რეკომენდებულია ტაბლეტის გახსნა წყლის მცირე რაოდენობაში (1 ჩაის კოვზი).

არ შეიძლება ორმაგი დოზის მიღება პრეპარატის მიღების დავიწყების შემთხვევაში.

გვერდითი მოვლენები

არ არის ცნობილი პრეპარატის გვერდითი ეფექტების შესახებ. პრეპარატის მიღებისას თუ შეამჩნიეთ რომელიმე გვერდითი ეფექტი, მიმართეთ ექიმს.

შენიშვნა:

ჰომეოპათიური სამკურნალო საშუალებების მიღებისას შესაძლებელია დაავადების არსებული სიმპტომების გარდამავალი გაძლიერება (პირველადი გაუარესება); ასეთ შემთხვევაში პრეპარატის მიღება უნდა შეწყვიტოთ და კონსულტაციისთვის მიმართეთ ექიმს.

უკუჩვენება

გამოვლენილი ალერგიული რეაქციები (ჰიპერმგრძობელობა) პრეპარატის რომელიმე კომპონენტის მიმართ.

განსაკუთრებული მითითებები

ჭამის დროს იმუნოკინდის მიღება რეკომენდებული არ არის. უკეთესია, პრეპარატი მიიღოთ ჭამამდე 30 წუთით ადრე ან საკვების მიღებიდან 30 წუთის შემდეგ.

თუ ექიმმა გითხრათ, რომ თქვენს შვილს რომელიმე შაქრის აუტანლობა აქვს, ან თუ თქვენს შვილს ფარისებრი ჯირკვლის დაავადება აწუხებს, იმუნოკინდის მიღების დაწყებამდე კონსულტაციისთვის მიმართეთ ექიმს.

პრეპარატის მიმართ ცუდი ამტანობისას ან გაუთვალისწინებელი სიმპტომებისას მიმართეთ ექიმს.

არ არის რეკომენდებული პრეპარატის ხანგრლივი მიღება ექიმთან წინასწარი კონსულტაციის გარეშე.

მოცემული პრეპარატი შეიცავს ლაქტოზას (რძის შაქარი).

ჭარბი დოზირება

ჭარბი დოზირებისას ან პრეპარატის მიღების შეწყვეტისას მაგნე ეფექტების განვითარების საშიშროება არ არსებობს.

სხვა წამლებთან ურთიერთქმედება

ურთიერთქმედება სხვა სამკურნალო საშუალებებთან ცნობილი არ არის. შეატყობინეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს თუ თქვენი ბავშვი იღებს სხვა სამკურნალო საშუალებებს.

შენახვის პირობები და ვადები

ინახება 25°C ტემპერატურამდე, ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.

ვარგისიანობის ვადა:

5 წელი. ვარგისიანობის ვადის ამოწურვის თარიღი მითითებულია შეფუთვისა და ფლაკონზე. ამ თარიღის გასვლის შემდეგ პრეპარატს ნუ გამოიყენებთ.

აფთიაქში გაცემის წესი

გაიცემა რეცეპტის გარეშე.